Deloitte & Touche Regional
Consulting Services Ltd.
256 Makarios Avenue
CY 3030
Limassol, Cyprus

Deloitte
& Touche

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას
საქართველო, თბილისი, გაგარინის I ჩიხი, 8

ჩვენ ჩავატარეთ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის (ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის, აგრეთვე მასთან დაკავშირებული საქმიანობის, ოფიციალური ხარჯებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშების აუდიტი 2001 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მდგომარეობით. ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ.

აუდიტს წარვმართავდით ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაოდ მიღებული აუდიტის სტანდარტების მიხედვით. ეს სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული გათვლების სისწორის შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს ჩვენი მოსაზრების გამოსახატავად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეერთებულ შტატებში საყოველთაოდ მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2001 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, ფონდის ბალანსსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

Deloitte & Touche

19 აპრილი, 2002